ADIGENI MUNICIPALITY
Digitally signed by ADIGENI MUNICIPALITY
Date: 2019.02.21 15:51:47 +04'00'

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №16

დ.ადიგენი *21.02.2019 წელი*

ერთის მხრივ, თვითმმართველი ერთეული, ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი მერის მოვალეობის შემსრულებლის არსენ ბალახაშვილის სახით (დ.ადიგენი, თამარის ქ.№5,) და მეორეს მხრივ შპს გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, შემდგომში „შემსრულებელი“ (დ.ასპინძა, თამარის ქ.№3) წარმოდგენილი რედაქტორის ავთანდილ ბერიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის “ს” ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი I
ხელშეკრულების საგანი

1.1.ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ლიტერატურის, საგანმანათლებლო, კულტურისა და ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, „შემსრულებელი“ სისტემატურად დაბეჭდავს და გაავრცელებს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, კულტურულ, ლიტერატურულ ცხოვრებას, პროპაგანდას გაუწევს ტურიზმს, ასევე გაავრცელებს მასალებს გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ისტორიულ წარსულზე, და მუნიციპალიტეტში მოღვაწე მწერალთა შემოქმედებას, ასევე მერიის მიერ მოწოდებულ საიფორმაციო წერილებს.

CPV-79800000- ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები

მუხლი II
გამოყენებული ტერმინების განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და გაზეთის რედაქციას შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

2.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებაზე.

2.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

2.4. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

მუხლი III
ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ადიგენის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო მასალების გაზეთში დაბეჭვდა გავრცელების მომსახურებას.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ხელშეკრულების შესავალ ნაწილში.

მუხლი IV
ანაზღაურების წესი, ღირებულება და პირობები

4.1 მომსახურეობაზე ანგარიშსწორება მოხდება წარმოდგენილი ინვოისის ან მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 1500 (ათასხუთასი) ლარს (ერთი კვ/ს-ის მასალის გაშუქების ღირებულება შეადგენს 0.80 ლარს).

4.3 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორება.

მუხლი III
მხარეთა უფლებები და მოვალეობანი

3.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსრულებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება გულისხმიერად და ხარისხიანად.

3.2 „შემსრულებელი“ ვალდებულია სრულად დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

მუხლი IV
სტანდარტები

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დავალებათა მითითებულ სტანდარტებს.

მუხლი V
ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან.

ხელშეკრულების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზების მითითებებით.

5.2 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოსაფხვრელად და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.3 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

მუხლი VI
მომსახურების გაწევის ვადები

6.1 მომსახურების გაწევა ხორციელდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების მიხედვით მისი გაფორმებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი VII
შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 „შემსყიდველი“ გაწეული მომსახურების მიღებას მოახდენს ეტაპობრივად.

7.2 მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ ფაქტიური დადასტურების შემდეგ.

მუხლი VIII
ანგარიშსწორება და ვალუტა

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული მომსახურების გაწევისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხის შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსწიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

8.2 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში.

8.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ან ინვოისის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი IX
მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ანაზრაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

9.2 მიმწოდებელია უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

მუხლი X
ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის თუ ისინი გამოწვეულია მხარეების დამოუკიდებელი გადაულახავი ძალის შედეგად, ე.ი. მოცემულ პირობებში განსაკუთრებული და აღუკვეთავი გარემოებების შედეგად.

მუხლი XI

ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 იანვრამდე.

11.2 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

11.3 ხელშეკრულების ვადამდე ადრე შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხარეთა შეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაშიც, მეორე მხარისათვის 30 კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

მუხლი XII

მარეგულირებელი სამართალი და დავათა გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით.

12.2 შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი XIII

დასკვნითი დებულებები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, და ძალაშია მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის დღიდან.

13.2 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა შესაძლო დანართი იქნება ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და მათი აღსრულება იწარმოება მოცემული ხელშეკრულების ყველა დანარჩენ პირობასთან ერთად.

მუხლი XIV

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია, მის: დ.ადიგენი, თამარ მეფის ქუჩა №5 საიდენტიფიკაციო ნომერი:№222729162,ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22 ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022.

მუნიციპალიტეტის მერის მ/შ არსენ ბალახაშვილი

„შემსრულებელი“,

შპს გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, ასპინძა, თამარის ქუჩა №3, მიმღები ბანკი – ლიბერთი ბანკის ასპინძის ფილიალი. ბანკის კოდი – 220101451; ანგარიშის № **GE72LB0113115795007000,**
საიდენტიფიკაციო კოდი 223100908.

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე